№ 157 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

ფასი 1 მანეთი. პარასკევი, 18 ივლისი 1919-წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა“
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 ს. ნაშუადღ. 3 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 18—2.

ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„განახლებული მესხეთი“
ორგანო ახალციხის მიწის მუშათა დეპუტატების საბჭოსი. გამოდის ქართულ-თათრულ ენაზე და ემსახურება სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს გაერთიანების იდეას. რედაქცია მოთავსებულია ვორონცოვის ქუჩაზე, სახლი № 6. გაზეთი ღირს ერთი თვით 5 მ. 50 კ. ცალკე ნომერი 2 მან. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ახალციხე, „განახლებული მესხეთის“ რედაქცია.

რესპუბლიკის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ზედამხედველი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ამ თვის 30 რიცხვს საზოგადოების შენობაში (ცირკის ქუჩა) დილის 10 საათზე დანიშნულია საზოგადოების რწმუნებულთა საგანგებო კრება. კრებას უნდა დაესწრონ ყველა ის რწმუნებულები, რომელნიც უკვე იყვნენ პირველ კრებაზე ამა წლის 15 აპრილს, აგრეთვე ის რწმუნებულებიც, რომელნიც სხვა და სხვა მიზეზების გამო პირველ კრებას ვერ დაესწრენ. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) სარევიზიო კომისიის მოხსენება წარსული წლის ანგარიშების შესახებ. 2) მოხსენება გამგეობის და ზედამხედველი კომიტეტისა საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ დღიდან ჩაბარებისა. 3) წევრების განხილვა.
1239 2—1

ოფიციალური განყოფილება.

დეკრეტი

სამხედრო საჭიროებისათვის 15 მილიონი მანეთის გადადებისა.

1. გადადებულ იქნას სახელმწიფო ხაზინიდან მთავრობის განკარგულებაში სამხედრო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ხუთმეტი მილიონი (15.000.000) მანეთი.

2. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივლისის 15-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დადგენილება.

15 ივლისი, 1919 წ.

მე, შინაგან საქმეთა მინისტრმა, თანახმად მთავრობის ამა წლის 10 ივნისის დადგენილებისა, მივიღე რა მხედველობაში ამ დადგენილებაში გათვალისწინებული და ამ ჟამად შემჩნეული ეპიდემიის შენელება საჭიროთ ვსცანი, რათა

1. მოსპობილ იქნას 15 ამა ივლისიდან ეპიდემიით გამოწვეული ექიმთა და ფერშალთა მობილიზაცია.

2. დაევალოს სამაზრო ერობებს მიიღონ ზომები განთავისუფლებულ ადგილებზე ახალ ექიმების მოწვევისთვის მხოლოთ უკანასკნელებთან შეთანხმებით;

3. მთავრობის ამა წლის 18 იანვრის დადგენილებით დაარსებული (გადამდებ სენთა ეპიდემიასთან საბრძოლველათ) განსაკუთრებულ რწმუნებულის თანამდებობა გაუქმებულ იქმნას და ყოველივე საქმეები მის გამგებლობაში არსებული ჩაბარდეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საექიმო-სასანიტარო განყოფილებას.

შინაგან საქმეთა მინისტრის
ამხანაგი **ჭიჭინაძე.**

ბრძანება

3 ივლისი, 1919 წ. № 198.

შემჩნეულია, რომ სპეკულიანტები საქართველოში ყიდულობენ ჩვენთვის საჭირო სხვა და სხვა ოჯახის ავეჯეულობას და სათანადო ნებართვის მოპოვების შემდეგ გააქვთ ისინი საზღვარ-გარეთ, მეზობელ რესპუბლიკებში მაღალ ფასებში გასაყიდათ.

ამ ბოროტ-მოქმედების აღმოსაფხვრელათ, თანახმად საქონლის გამცვლელ კომიტეტის თავმჯდომარისა და სავაჭრო განყოფილების დეპარტამენტის დირექტორის დასტურისა, წინადადებას ვაძლევ საქართველოს რესპუბლიკის ყველა საბაჟოებს, რათა ამიერიდან ყველა იმ პირთ, რომელთაც სურთ საოჯახო ნივთების და ავეჯეულობის საზღვარ-გარეთ გატანა, მოსთხოვონ ხოლმე მილიციის უფროსის მოწმობა, რომ ისინი ჩვენს რესპუბლიკაში ცხოვრობენ არა ნაკლებ ერთი წლისა და საოჯახო ნივთები შეადგენენ მათ კუთვნილებას.

გამგე **მიქაძე.**

განკარგულებანი

იუსტიციის მინისტრისა.

10 ივლისი, 1919 წ., № 169.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან: თანახმად თავისი თხოვნისა ტფილისის სასამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარე მიხეილ ალექსანდრეს ძე პლავსკი ამა წლის ივლისის 1-დან.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე
ნ. ჟორდანია.
იუსტიციის მინისტრი **ე. გეგეჭკორი.**
კანცელარიის დირექტორის მოვ. აღმ.
ხ. ფალავა.

№ 170.

დაინიშნა: ტფილისის სასამართლო პალატის წევრად ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი გიორგი ზურაბის ძე ჩაჩიბაია 1919 წ. ივლისის 10-დან.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე
ნ. ჟორდანია.
მინისტრი **ე. პ. გეგეჭკორი.**
დირექტორის მოვ. აღმ. **ხ. ფალავა.**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

8 ივლისის სხდომაზე.

სესხი ჭიათურის თვითმართველობას.

მთავრობამ დაადგინა: კანონ-პროექტი ჭიათურის ქალაქის თვითმართველობისათვის ერთი მილიონი მანეთი სესხის მიცემის შესახებ მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

საფუთო გადასახადის გადიდება.

კანონ-პროექტი ქ. ჭიათურის სასარგებლოდ შავ-ქვაზე დაწესებულ საფუთო გადასახადის გადიდებისა (ერთი კაპეიკის ნაცვლად ორი კაპეიკი) მოწონებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას. იმ შემთხვევაში თუ ქალაქი მომავალში შემოიღებს საფუთო გადასახადს ყველა ქალაქში შეტანილ და გატანილ საქონელზე შავი ქვა განთავისუფლებულ უნდა იქნეს ხელმეორე გადასახადისაგან.

უბილეთო მგზავრების შესახებ.

უბილეთო მგზავრთა და რკინის გზის მოხელეთა პასუხის მგებლობის კანონ-პროექტის საფუძვლად იქნას მიღებული გზათა უწყების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებანი ე. ი. უბილეთო მგზავრების ეხლანდელ სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნაცვლად შემოღებულ იქნას სისხლის სამართლის პასუხის მგებლობა.

აგრეთვე უნდა ისჯებოდნენ რკინის გზის მოხელენი, რომელნიც ხელს უწყობენ რკინის გზაზე უბილეთოთ მოგზაურობას. ამ საფუძველზე კანონ-პროექტის შედგენა დაევალოს იუსტიციის სამინისტროს.

სამხედრო სამინისტროში

ჯარის კაცთა შკოლების ინსტრუქტორ მასწავლებლის მოხსენება ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა და სამხედრო მუზეუმის მოწყობის შესახებ.

ჯარის გათვითცნობიერებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ ყოველ ნაწილში იქნეს დაარსებული ბიბლიოთეკები და სამკითხველოები, ხოლო იმავე დროს საჭიროა მოეწყოს მთელი რესპუბლიკისათვის სამხედრო უწყებისათვის ერთი ცენტრალური მეცნიერული ბიბლიოთეკა-სამკითხველო სამუზეუმო განყოფილებით. ვინაიდგან შევნიშნე, რომ ბიბლიოთეკები და სამკითხველოები ჯარის ნაწილებში და ცენტრშიდაც ვერ არის წესიერ ნიადაგზე დაყენებული და პირიქით ძვირფასი ქონება ინგრევა და იკარგება, ამისათვის დაუყონებლივ საჭიროა კულტურულ განმანათლებელმა სექციამ მიიღოს თავის თავზე ინიციატივა ზემოხსენებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მოწყობისა და არსებული საბიბლიოთეკო და სამუზეუმო ქონებათა რევიზია-რეგისტრაციის მოწყობისა მთავრობის ნებართვით და ქვემორე მოხსენებულის გეგმისა და მიზნის მიხედულობით:

1. კულტურულ განმანათლებელ სექციასთან არსდება ცენტრალური ბიბლიოთეკა-სამკითხველო სამუზეუმო განყოფილებით.

2. ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის მთავრობა იძლევა საჭირო შენობას და ინვენტარს ან გასწევს ინვენტარის შესაძენათ და შენობის მოსაწყობათ განსაკუთრებულ ხარჯს.

3. რესპუბლიკაში არსებული სამხედრო ნაწილების ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მოწყობა ევალება და ექვემდებარება კულტურულ-განმანათლებელ სექციას.

4. ჯერ ჯერობით სამხედროთათვის მოწყობილ ბიბლიოთეკა-სამკითხველოებში იქნება დაცული საერთო საბიბლიოთეკო-სამკითხველოთათვის გამომუშავებული წესდება, როგორც წიგნების შეძენისა ისე მათი მოვლისა და სარგებლობის მხრით.

5. სექციის დამტკიცების შემდეგ უნდა იქნეს აღძრული შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა სექციამ მოახდინოს დაწვრილებითი რევიზია და იმავე დროს რეგისტრაცია ყველა ყოფილ და არსებულ ჯარის ნაწილებში ბიბლიოთეკა-სამკითხველოებში არსებულ წიგნებისა და სამუზეუმო ქონებათა თავისი ინვენტარით არსებულ და ყოფილ საკანცელარიო წიგნების მიხედულებით და ასეთივე რევიზია-რეგისტრაცია უნდა მოხდეს გენერალურ შტაბის განყოფილებასთან არსებულ საბიბლიოთეკო-სამკითხველოს ქონებისა.

6. ყოველგან დგება ყოფილ და არსებულ კატალოგების მიხედვით ახალი და შესწორებულ-შეკრებული კატალოგები.

7. სანამ ზემო აღნიშნული ცვლილებები და დადგენილებები სისრულეში მოვიდოდეს, ყოველგვარი წიგნი თუ ჟურნალ-გაზეთები, რომელთაც სექცია მიიღებს შემოწირულებით თუ ფულით შეძენით უნდა იქნეს გატარებული წიგნებში დროის და შემომწირველის პიროვნების აღნიშვნით.

8. ცენტრალურ—ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მოსაწყობათ და შესადგენათ გადაეცემა სექციას გენერალურ შტაბთან არსებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველო და შემდეგ შევსებულ იქნება იმ წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით, რომელნიც ცენტრალურ—ბიბლიოთეკა-სამკითხველოში არ იქნება და სხვაგანაც არ შეიძლება მათი შეძენა, ასეთები კი აღმოჩნდებიან რესპუბლიკის ჯარის ნაწილებში არსებულ ბიბლიოთეკებში.

9. ცენტრალურ ბიბლიოთეკის შესავსებათ მთავრობა სდებს განსაზღვრულ თანხას ერთდროულად და შემდეგ ყოველ წლივ.

10. ბიბლიოთეკები აგრეთვე შეივსებიან კერძო შემოწირულებითაც წიგნებათ თუ ფულად და სეირნობა გასართობების მოწყობით.

11. ჯარის ნაწილებში ბიბლიოთეკა-სამკითხველოები ეწყობა ადგილობრივი საშუალებით ერთდროულათ კი მთავრობა ეხმარება.

12. მთავრობისაგან უნდა იქნეს შედგენილი განსაკუთრებულის ინსტრუქციით სარევიზიო სარეგისტრაციო კომისია და ასეთ კომისიაში შედის სექციიდან ერთ-ერთ წევრი.

13. კომისიის რაოდენობა იქნება დამოკიდებული სამუშევრის სირთულეზე.

14. კომისიის წევრთა გასამრჯელოს მთავრობა ადგენს.

15. კომისიას უნდა ექნეს მინიჭებული უფლება დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემისა, რაშიდაც ეხმარება კომისიას სამხედრო თუ სამოქალაქო მთავრობანი მუშაობის დროს.

16. კომისიას შეუძლიან გამოიკვლიოს გარეშე პირთა დაკითხვით ამა თუ იმ ბიბლიოთეკების გამშვენების თუ დანგრევის შესახებ და შეკრიბოს ცნობები პრესის საშუალებითაც.

17. კომისია თვითეულ ჯარის ნაწილ'ში აწყობს განსაკუთრებულს დაკეტილ ყუთს, სადაც ყოველ მცოდნე და დაინტერესებულ პირს შეუძლია ხელის მოწერით თუ ისე ჩააგდოს ბარათები საჭირო ცნობებით. ყუთის დანიშნულებაზე ალსნილი ექნება აღნიშნულ ნაწილს.

18. წინანდელი გადაცემა-ჩაბარება საბიბლიოთეკო ქონებათა და მომავალშიდაც უნდა იყოს აღნიშნული შესაფერისი დაწვრილებითი ოქმებით, რომელზედაც ხელს აწერენ გადამცემ-ჩამბარებელი, უკეთუ ასეთი საბუთები არ არსებობს, სარევიზიო კომისია უკანონოთ სცნობს ყოველივე გადაცემა ჩაბარებას, რომლის შედეგათ წიგნების დაკარგვა იყო.

19. ვიდრე მთავრობისაგან აირჩეოდეს კანონიერი კომისია, სექციის მეთაურობით უნდა შესდგეს დროებითი კომისია, რომელიც გამოიმუშავებს მომავალი კომისიის მოქმედების შესახებ დაწვრილებით სამოქმედო ინსტრუქციას და წარუდგენს ბ. სამხედრო მინისტრს დასამტკიცებლათ.

საადგილ-მამულო რეფორმა.

ტფილისის ქალაქის გამგეობის მოხსენება.

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ წინადადებით მიმართა რესპუბლიკის ქალაქების თვითმართველობებს ანკეტის სახით წარედგინათ მათ სამინისტროსათვის თავიანთი მოსა-

ზრებანი აგრარულ რეფორმის განხორციელების შესახებ ქალაქებში.

სამინისტრო საანკეტო კითხვებში ხელმძღვანელობს იმ მოსაზრებით, რომ ქალაქებში აგრარულ რეფორმის განხორციელების შესაფერი ფორმა იქნება ჩამორთმევა მიწებისა განსაზღვრულ ნორმაზე ზევით. ამის მიხედვით არის შედგენილი საანკეტო ფურცლებიც.

ქალაქის გამგეობა ფიქრობს, რომ საადგილ მამულო რეფორმის კითხვა ქალაქებში უკვე მომწიფებულია და მისი დაუყონებლივი განხორციელება საჭიროა.

1917 წლის 16 დეკემბრის დეკრეტით და 1918 წლის 7 მარტის კანონით კერძო მესაკუთრეთა მამულები სოფლად განსაზღვრულ ნორმის ზევით ჩამორთმეულია. ხელუხლებია მიწის დიდი ნაჭრები ქალაქებში, რაიც სამართლიან გულის წყრომას იწვევს სოფლის მცხოვრებლებში, რომელთაც ნორმის ზევით მამულები ჩამოერთვათ. განსაკუთრებით სამართლიანი არის ასეთი გულისწყრომა ახლად შექმნილ ქალაქების შესახებ, რომელთა მცხოვრებლების დიდი ნაწილი დღესაც სოფლის მეურნეობას აწარმოებს. ეს უკანასკნელი ხელოვნურათ გაუსხლტდნენ აგრარულ რეფორმას. ამას შედეგად მოჰყვა ის გარემოება, რომ პატარა ქალაქებში არიან მესაკუთრენი, რომელთაც მამული ნაწილობრივ ჩამოერთმევათ, რადგან იგი იმყოფებოდა ქალაქ გარედ, ხოლო იმის მეზობელის კი, რადგან მისი მამული ქალაქის ფარგალში მოყვა, მფლობელობს მთელის მამულის ჩამოუჭრელად.

მეორე მხრივ საქართველოს რესპუბლიკის ქალაქები ძალიან მცირედათ არიან უზრუნველყოფილნი მამულებით და ამ მხრივ მათ, მთელს მსოფლიოში, უკანასკნელი ადგილი უჭირავთ *) ქალაქების განკარგულებაში მყოფთ.

ვოლგის ნაპირების ქალაქებში, ციმბირში—1053,—სამრეწველო გუბ.—864—ამიერ-კავკასიაში—147,—ტფილისში—40 (ამ ჟამად კი დაახლოვებით 32 კვ. საჟ.)

მიწის ფონდის სიმცირე, საშუალებას უსპობს ქალაქებს განავითარონ ფართო მუნიციპალური პოლიტიკა გამშვენიერების და აღმაშენებლობის საქმეში და ხელს უშლის ჯეროვანად მოაწყონ ცენტრიდან განაპირა უბნებში დასახლებას.

სამაგიეროთ, საოცრად მდიდრდებიან კერძო მესაკუთრენი, რომელთა მამულების ფასი ქალაქებში საზღაპროთ იზრდება. ასე გაზრდილი მიწის რენტა, რომელიც აღემატება რამდენიმე ათეულ და ასეულ მილიონ მანეთს, მიდის მესაკუთრეთა ჯიბეებში, სრულიად დაუმსახურებლად, რადგან ეს ზრდა მიწის არენდისა შედეგია საზოგადოების კოლექტიური შრომისა, ქალაქის თვითმმართველობის მოღვაწეობა (ტრამვაის წყალსადენის, განათების გაყვანისა, საზოგადო სასარგებლო დაწესებულებათა დაარსებისა: სკოლები, საავთმყოფოები და სხვა).

ამ მოსაზრებით კერძო მესაკუთრეთა მამულების ჩამორთმევა, განსაზღვრულ ნორმის ზევით, არის სრულიად სამართლიანი და რაციონალური ზომა. სახელმწიფო, უტოვებს რა მოქალაქეთ მის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო მიწის ნაჭერს, მოვალეა ბოლო მოუღოს იმ აუტანელ მიწის სპეკულიაციას, რომელსაც დღეს ვხედავთ და ამასთანავე ერთად უზრუნველჰყოს ქალაქის თვითმმართველობა მიწით.

ქალაქის გამგეობა ღიათ სტოვებს იმ საკითხებს, თუ რაოდენი მამული უნდა დარჩეს კერძო მესაკუთრეთა მფლობელობაში რესპუბლიკის სხვა ქალაქებში, ხოლო ტფილისისათვის გამგეობა საბჭოს უდგენს დასამტკიცებლად აგრარულ რეფორმის შემდეგ მთავარ დებულებებს, მიწათ-მოქმედების სამინისტროში წარსადგენათ.

1) აგრარული რეფორმა უნდა გავრცელდეს ქალაქების ფარგლებში მდებარე მიწებზედაც.

2) ძირითადი პრინციპი რეფორმისა უნდა დარჩეს ისეთივე, რომელიც გატარებულია 16 დეკემბრის დეკრეტში და 7 მარტის კანონში, ე. ი. კერძო საკუთრება მიწაზე რჩება, მეპატრონეს უნდა დაეტოვოს ნორმა, ნორმაზე ზევით უნდა ჩამოერთვას.

3) რეფორმა უნდა გავრცელდეს ყველა ხასიათის მიწაზე, როგორც გაშენებულზე, ბაღებზე და სხვა, აგრეთვე გაუშენებელ მიწებზედაც.

4) ნორმაზე ზევით მიწები მეპატრონეთ უსასყიდლოთ უნდა ჩამოერთვათ.

5) თუ ჩამორთმეულ მიწაზე შენობები კანონიერ შეფასებით ქალაქის მიერ გამოსყიდული არ იქნება, მაშინ შენობის პატრონი სარგებლობს მიწით იჯარის საშუალებით.

6) ჩამორთმეული მიწები უნდა გადაეცეს საკუთრებათ ქალაქის თვითმართველობას.

7) ქ. ტფილისისათვის დატოვების ნორმა უნდა იქნეს: 1. ქალაქის ცენტრში 400 კვად. საჟ., 2. ცენტრის ირგვლივ მდებარე რკალში 600 კვ. საჟ., 3. განაპირა გაშენებულ უბანში 800 კვ. საჟ., 4. გაუშენებელ გარე უბანში 1200 კვ. საჟ.

პირველი და მეორე მუხლი განმარტებას არ საჭიროებენ. არც მესამე მუხლი ითხოვს განმარტებას, რადგანაც თავის თავად იგულისხმება, რომ რეფორმა უნდა შეეხოს როგორც თავისუფალ, გაუშენებელ მამულს, აგრეთვე გაშენებულს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში: ა) გაშენებულ მამულის პატრონები შეღავათიან პირობებში დარჩებიან და ბ) საზოგადო მოსაზრებანი მიწის რენტის უზომო ზრდის და მესაკუთრეთა დაუმსახურებელ გამდიდრების შესახებ ამ შემთხვევაში უცვლელად რჩებიან.

მეოთხე მუხლი ნორმაზე ზევით მამულის უსასყიდლოთ კომფისკაციის შესახებ სრულიად შეთანხმებულია აგრარულ კანონმდებლობის ძირითად პრინციპებთან გამოსყიდვით ჩამორთმევის პრინციპის დაკანონება, რომელიც ჩვენ კანონმდებლობას ეწინააღმდეგება, გამოიწვევს სოფლის მამულის მესაკუთრეთა სამართლიან გულის წყრომას და შეუძლებლად გახდის რეფორმის განხორციელებას, რადგან ქალაქებს გამოსასყიდათ საჭირო თანხა არ ექნება და კერძო პირთა ხელში დაუმსახურებლივ გადავა დიდი თანხა გაზრდილ რენტის სახით.

მეხუთე მუხლს მიზნათ აქვს დაიცვას ჩამორთმეულ მიწაზე აღებულ შენობათა მესაკუთრის ინტერესები. ეს მუხლი ითხოვს, რომ ჩამორთმეულ მიწაზე აგებული შენობები მიეცეს შენობების კანონიერ მესაკუთრეთ იჯარით, თუ ქალაქი არ შეისყიდის შენობების იძულებითი ჩამორთმევის საზოგადო წესით.

მეექვსე მუხლი გამომდინარეობს ამ რეფორმის პროექტის საზოგადო დებულებიდან. მეშვიდე მუხლში ნაჩვენებ დასატოვებელი ნორმის განსაზღვრის დროს ქ. ტფილისში (და არა სხვა ქალაქებში) უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ყველა პირობათა სხვადა სხვაობის გამორკვევა, რომელშიაც იმყოფებიან კერძო მამულები, მეტათ საძნელოა, რადგან მამულის ღირებულება ტფილისში დამოკიდებულია მრავალ სხვა და სხვა გარემოებაზე (მამულის თვისება და ხასიათი, მისი მდებარეობა, სიახლოვე ტრამვაის ლიანდაგთან და სხვ.), რომელთა გამოსაკვლევათ საჭიროა დიდი და ხანგრძლივი მუშაობა. ამ მოვალეობის თვითმმართველობაზე დაკისრება მეტად გააძნელებს რეფორმის პრაქტიკულ განხორციელებას, რადგან ქალაქი იძულებული იქნება შეაფასოს თვითეული ნაჭერი მიწისა, რასაც შედეგათ მოჰყვება ის, რომ მთელი რეფორმა დამოკიდებული იქნება შემფასებელთა სუბიექტურ მოსაზრებებზე. ერთად ერთი მიზანშეწონილი საშუალება არის ნორმის განსაზღვრა ადგილის, რაიონის ხასიათის მიხედვით. ამ მიზნით ქალაქი დანაწილებულ უნდა იქნას ტიპიურ რაიონებათ, სრულიად ობიექტურ ნიშნებით თანამედროვე მეცნიერების მიღებულ პრინციპების მიხედვით. ქალაქის გამგეობა უდგენს საბჭოს შემდეგ ოთხ ტიპს, რომელზედაც ქალაქი ბუნებრივად დანაწილებულია: ცენტრი, ცენტრის ირგვლივ მდებარე რკალი, განაპირა გაშენებული უბნები და განაპირა გაუშენებელი უბნები. მინიმალური ნორმა დატოვებულ მამულისა სრულიად გასაგები მოსაზრებებით მიღებულია ყველაზე მეტად დასახელებულ რაიონისათვის, ცენტრში 400 ოთხკუთხი საჟ., ამ ნორმის დაწესების დროს მიღებულ იქნა მხედველობაში ის მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილებას ითხოვს თანამედროვე მეცნიერება აღმშენებლობის მხრივ.

მაქსიმალური ნორმა დატოვებისა გარეშე გაუშენებელ უბნებისათვის მიღებულია 1,200 ოთხ-კუთხი საჟ., რაიც სრულიად საკმარისია რაციონალურ საცხოვრებელ და მოსახმარ შენობების ასაგებათ და შემოსავლიან ბოსტნების და ბაღების გასაშენებლად, რომელთა შემოსავალი ქალაქთა სიახლოვის გამო სრულიად დაფარავს ხარჯებს.

მუნიციპალური ცხოვრება

ზუგდიდის თვითმართველობაში

საფინანსო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს კომისიის თავმჯდომარე ი. მუჯირი. მიღებულ იქნა შემდეგი მუხლები: 1) § 2 მეორე მუხლის მიღებისას ა. დგებუაძე (ს.-ფედ.) ფრაქციის სახელით მოხსენებას აკეთებს ბაზარში ვაჭრობის შესახებ საჭირო წესებზე და მოითხოვს დაცულ იქნას სისუფთავე და წესი ისე, რომ ყოველ შემოტანილ სანოვაგისათვის იყოს მიჩნეული ცალკე ადგილი, რათა მომხმარებელთ იოლად შეეძლოს არჩევა იმ საქონლისა, რაც მას სურს. მესამე მუხლი მიღებულ იქნა იმ შესწორებით, რომ გადახდეს სამეურნეო ნაწარმოებზედაც, როცა ასეთი საწყობებში მიაქვთ სავაჭრო ოპერაციის წარმოების მიზნით. მეოთხე და მეხუთე მიღებულ იქნა უცვლელად. მუხლი 6 მიღებულ იქნა შესწორებით ე. ი. დაენიშნოთ კანცელარიის შტატ. მდივანს ცხრა ასი მანეთი, ბუჰგალტერს ცხრა ასი მან., საქმის მწარმოებელს და მოლარეს შვიდას შვიდასი მანეთი, მემანქანეს ხუთასი მან. და დარაჯს ექვსასი მან. კომისარიატში მოსამსახურეთ: ქალაქის კომისარს შვიდას ორმოცდა ათი მან., მის თანაშემწეს შვიდასი მანეთი, საქმის მწარმოებელს ხუთას ორმოცდა ათი მან., მწერალს ხუთასი მანეთი, დარაჯს ხუთასი მანეთი. გაუქმებულ იქნას რეგისტრატორის თანამდებობა. კომისარიატის დარაჯს ეკისრება ბიბლითეკის გაწმენდა და ბულვარის სისუფთავის დაცვა.

სოც.-ფედ. ფრაქცია მოითხოვს: მოლარეს არ ეკისრებოდეს გარდა პირდაპირი მოვალეობისა სხვა მუშაობა და ქალაქის მილიციის უფროსის (კომისიის) თანაშემწეს ჯამაგირი იქნეს მომატებული 50%, რადგან ხმოსანი ანჯაფარიძე ორმოცდა ათი პროცენტით ჯამაგირის გადიდების პრინციპს ემყარებოდა, რაც ასეთი სხვა მოხელეთა შორის დანიშვნაზე არ დაუცავთ. მოთხოვნა სოც.-ფედ. ფრაქციის დარჩა განცხადებათ, რადგან მიღებულ იქნა ზემო ნაჩვენების სახით. აფთიაქის მოსამსახ. შტ. ჯამაგირები. კომისიის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებაზე უცვლელად მიღებულ იქნა საბჭოს ხმოსნებთა შორის დიდი კამათის შემდგომ.

სხდომა 21 მაისის 1919 წ.

დაესწრენ: გ. ჭედია, ი. მუჯირი, მ. ვეკუა, მ. კობახიძე, ან. დგებუიძე, ს. კეშილავა, ნ. დარასელია, ს. მაღლაკელიძე, ე. ნადარაია, პ. ქვანია, ნ. ანთელავა, ტ. კოხტაბერიძე. თავმჯდომარეობს საბჭოს თავმჯდომარე გ. ჭედია. მდივნობს გამგეობის მდივანი შ. თვალჭრელიძე. დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება საადგილ-მამულო კომისია აგრარულ რეფორმის ქალაქის ფარგლებში გატარების შესახებ ე. ი. დაწესება ნორმისა ქალაქის მიწაზე. 2. მოხსენება საადგილ-მამულო კომისიისა დადგენილებისა და ზუგდიდის სამაზრო ერობის გამგეობის მოწერილობისა ქალაქში მდებარე პრინცესსა მიურატის მიწის შესახებ, თუ ვის განკარგულებაში დარჩეს ასეთი. 3. ზუგდიდის სამკითხველოს სასარგებლოდ 2.000 მ. ერთდროულად გადადების შესახებ. 4. საფინანსო კომისიის წევრთა რიცხვის გადიდება. 5. ტეხნიკურ-გამამშვენებელი საადგილ-მამულო კომისიის წევრთა რიცხვის გადიდება. 6. გადასახადთა ინსპექტორის მოწერილობა სხვა და სხვა საკრებულოს წევრთა და მათი კანდიდატების არჩევისა. 7. გამგეობის პასუხი ს. ფ. წერილობითი შეკითხვებზე სახელდობრ ა) რა მდგომარეობაშია ტელეფონის გაყვანის საქმე? მასალები დიდი ხანია მოტანილია. ბ) იცის თუ არა გამგეობამ მეეტლეების თავგასულობა ნიხრის დარღვევით, თუ იცის რა ზომებია მიღებული? გ) იცის თუ არა გამგეობამ, რომ საქონელს კლავენ არა სასაკლაოში და თუ იცის რა ზომებია მის მიერ მიღებული? დ) იცის თუ არა გამგეობამ, რომ ბაზარზე ყიდიან ძველ ტანისამოსებს და თუ იცის რა ზომებია მიღებული? ე) რატომ არ არის ამდენ ხანს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შედგენილი რეგლამენტი. ვ) რა მდგომარეობაშია ქალაქის ფარგლებში მდებარე ყოფილი სამეგრელოს თავადის მამულები. 8. დამტკიცება 16 მაისის არა ჩვეულებრივი სხდომის ოქმის ი. მეუნარგიას გარდაცვალების გამო. საბჭომ დაამტკიცა 16 მაისის არა ჩვეულებრივი სხდომის ოქმი. საადგილ მამულო კომისიის თავმჯდომარე ს. კეშილავა კითხულობს კომისიის პასუხს საანკეტო ფურცელზე. ირჩევა ანკეტის ფურცელი მუხლობრივ: მუხ. 1 და 2 მიღებულია. 3. კ. კობახიძე: ქალაქის კეთილ-დღეობა მცხოვრებთა სიმრავლეზეა დამოკიდებული, თუ ნორმა, 7 დესეტინა დარჩა, მეპატრონე მიწას არ გაყიდის. მსურველს ეკარგება საშუალება ქალაქში დასახლებისა, ამ რიგად მცხოვრებთა რიცხვი არ გაიზრდება. მოითხოვს ნორმის შემცირებას. ი. მუჯირი იზიარებს კომისიის აზრს ე. ი. ქალაქის ნორმის თანასწორებას სოფლისაზე. მ. კობახიძე მხარს უჭერს კომისიის თავმჯდომარის პროტესტს, რომელიც მოითხოვს: მეპატრონეს დარჩეს ეზოსათვის ნახევარი ქცევა, ხოლო მიწის ნორმად შრომისა და საჭიროების პრინციპს აღიარებს. კენჭს უყრიან ორ წინადადებას. კომისიის დადგენილებას და ს. ფ. წინადადებას ნორმას საფუძვლად დაედვას შრომისა და საჭიროების პრინციპი. მიღებულია კომისიის აზრი 9 ხმით 5 წინააღმდეგ. მუხ. 4—5 მიღებულია. ს. ფ. სახელით ს. კეშილავა კომისიის აზრის წინააღმდეგ ილაშქრებს და მოითხოვს აქაც დაცულ იქნას შრომისა და საჭიროების პრინციპი. კენჭის ყრით მიღებულია კომისიის აზრით 9—5 წინააღმდეგ. 7—8 მიღებულია. კენჭის ყრით მიღებულია კომისიის აზრით. 9—5 ერ.-დემოკრატების წინააღმდეგ, რომელნიც მოითხოვდენ მიწა ჩამოერთვას ფასებში. 10. კენჭის ყრით მიღებულია 8—6.

კომისიის თავმჯდომარე ს. კეშილავას შეუწყნარებლად მიაჩნია უფასოდ ჩამორთმეული ვისმეს ფასებში მიეცეს. მოითხოვს უფასოდ გადაეცეს და შემდეგ კი ქალაქმა მოიხმაროს, როგორც მას სურს. კ. კობახიძემ ხმ. კეშილავას აზრს დასძინა, რომ ქალაქი ფინანსიურად უკიდურეს მდგომარეობაშია და ამ ფულების გადახდა მისი სასიკვდილო განაჩენი იქნებაო. თუ გვეტყვიან, რომ ჩამორთმევა ხარჯებს გამოიწვევს, ჩვენ ვეტყვით, რომ ამისათვის საჭირო სპეციალისტებს ვიშოვით და ამ ხარჯებსაც ქალაქს ვაკისრებთ, მხოლოდ მიწას კი ვერ გამოვისყიდით. ი. მუჯირი იცავს კომისიის დადგენილებას და ამბობს: რადგანაც მიწის ჩამორთმევა ხარჯებს მოითხოვს და თუ უფასოთ მოითხოვთ მიწებს ეს იქნება ერთგვარი მოწყალების თხოვნა მთავრობის წინაშე. კომისიის წევრი დარასელია ამით ასაბუთებს კომისიის დადგენილებას, რომ თუ ქალაქი მიწას გამოისყიდის, მას საშუალება ექნება ნაყიდი მიწა ან გაყიდოს ან იჯარით გასცეს, ხოლო უფასოთ შეძენილი, უბრალო სამართლიანობა მოითხოვს, უფასოდვე გასცეს მსურველზე. მ. ვეკუა მხარს უჭერს კომისიის აზრს და ამბობს: თუ კ. კობახიძის რჩევით ვიარეთ მაშინ მიწა მეტ ხარჯებს გამოიწვევს და აქედან მეტი დაუჯდება მიწის შეძენა. კენჭი ეყარა კომისიის დადგენილებას და მის მოწინააღმდეგე ს. ფ. წინადადებას.

მიღებულ იქნა კომისიის აზრი 8—6 წინააღმდეგ, მ. ვეკუა მოითხოვს კომისიის დადგენილებას ჩაუმატოს სიტყვა „შეღავათიანი“. მ. კობახიძე წინააღმდეგია და ამბობს, რომ უსაბუთოა ამ სიტყვის ჩამატება, ვინაიდან პრაქტიკულად არ ხორციელდება. სხდომა გადადის მორიგი საკითხის განხილვაზე. წერილობით მოხსენებას პრინც. ეზოს შესახებ კომისია კითხულობს.

კომისიის წევრი მ. ვეკუა. საჭიროა წელს სათანადო კანონის გამოცემამდე ნება დაერთოს მუშებს პრინცის ეზოს დამუშავებისა, ხოლო შემოსავლით ქალაქმა ისარგებლოს. გამგეობის წევრი ს. მაღლაკელიძე კითხულობს ქ. გამგეობისა და ერობის გამგეობის მიწერ-მოწერას და იძლევა ზოგიერთი საჭი-

---

*) თითოეულ სულ მცხოვრებზე 1908 წ. გამოკვლევით მოდიოდა საქალაქო მიწა: 1,221 კვ. ს.

19 და 20 ივლისს ფრონტის დღეებია! მოქალაქენო! მოაწყვეთ ყველგან, საქართველოს ყველა კუთხეში ეს დღე. დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დამცველ არწივთ, ლომ-გულ მებრძოლებს, ესაჭიროებათ ძმური დახმარება. ყველამ ხელი გაუწოდეთ ფრონტს! არ დაიშუროთ თქვენი წვლილი! თქვენ უნდა დაამტკიცოთ თქვენი სიყვარული და თანაგრძნობა ფრონტისადმი. ეშურეთ ამ დღის ღირსეულათ ჩატარებისათვის.

რო განმარტებას. მ. კობახიძე: ერობის გამგეობას არავითარი იურიდიული უფლება არ ჰქონდა ქალაქის ფარგალში მდებარე მიწა მიეცა მუშებისათვის ქ. გამგეობის დაუკითხავათ, ამასთან ამბობს რომ იქ ბავშვები ბურთაობით თუ სხვა ვარჯიშობით ერთობიან რაც მათთვის სასარგებლოა და რის მოსპობითაც დანაშაულს ჩავიდენთ მოზარდი თაობის წინაშე. ი. მუჯირი პრინციპიალურად წინაალმდეგია მამულის დამუშავებისა, მაგრამ ვინაიდან ფაქტის წინაშე ვდგევართ—მიწის დამუშავება უკვე დაწყებულია. უადგილო არ იქნება წელს დამუშავდეს, შემდეგში კი არა. ვ. კობახიძე აფართოებს მ. კობახიძის აზრს და დასძენს, რომ ამ მიწის დამუშავებას საფუძვლად უდევს, უფრო სურვილი იქ დასახლებისა, ვინემ მომუშავეების მიწის ნაკლებობა. კენჭი ეყარა კომისიის დადგენილებას და ს. დემ. წინადადებას იძლევა, რომ წელს გაგრძელდეს მიწის დამუშავება სათანადო კანონის გამოცემამდე, რომელიც მოსალოდნელია ახლო მომავალში. ხმის უმეტესობით 10—2 მიღებულია კომისიის დადგენილება.

მიღებულია უკენჭოთ, რომ 2000 მანეთი გაღებულ იქნას სამკითხველოს სასარგებლოდ. საფინანსო კომისიის თავმჯდომარე მოხსენებით მოითხოვდა წევრთა რიცხვის გადიდებას. მ. კობახიძე: ს.-ფ-ები ამ კომისიაში მონაწილეობას არ მივიღებთ. ი. მუჯირი საჭიროდ სცნობს ს. ფ. მიიღონ მონაწილეობა კომისიაში. ს. ფ. კვლავ უარს ყოფენ. არჩეულ იქნენ: გ. ჭედია, მ. ვეკუა, ნ. დარასელია, პ. ქვანია. მოხსნილია. დაევალოს გამგეობას შემდეგი სხდომისათვის საჭირო ცნობები გამოართვას გადასახადთა ინსპექტორს და მოახსენოს სხდომას. ს. ფ. შეკითხვებზე პასუხის განმარტებას იძლევა გამგეობის წევრი ს. მაღლაკელიძე. შემოდის ორი წინადადება, ი. მუჯირი: გამგეობის განმარტება დამაკმაყოფილებელია. ს. კეშილავა: მოისმინა რა საბჭომ განმარტება გამგეობისა საჭიროდ სცნო გამგეობა უფრო მხნეთ მოეკიდოს ქალაქის საქმეებს. მიღებულია პირველი წინადადება. გამგეობის განმარტება დამაკმაყოფილებელია. ი. მუჯირი, შესაძლებლობის ფარგლებში მიღებული იქნას შემდეგში ზომები. ჯერ ჯერობით დამაკმაყოფილებელია. ს. კეშილავა: საბჭომ მოისმინა რა განმარტება გამგეობისა და მიიღო რა მხედველობაში, რომ სასაკლაო მოუწყობელია, ბეითალი ქალაქს არ ყოლია და საკლავისათვის, რომელიც მინდვრად სწარმოებს ქ. ფულს ახდევინებს; არ სცნობს დამაკმაყოფილებლად გამგეობის განმარტებას და მოითხოვს ამ საქმის საჩქაროდ მოწესრიგებას. მიღებულია პირველი 8—5 წინააღმდეგ.

დამაკმაყოფილებელია, ხოლოდ ყოველი ნაბიჯი გამგეობისა წერილობით უნდა იყოს, როგორც საბუთი. დაევალა გამგეობას იშუამდგომლოს სადაც ჯერარს, რათა ყოველი სამეგრელოს თავადისა და პრინცესის მამულები, როგორც ქალაქში მდებარე გადავიდეს ქალაქის გამგეობის განკარგულებაში.

საზღვარ-გარეთ ახალგაზრდების გაგზავნა და ქართველ ტეხნიკოსთა საზოგადოება.

როგორც ჩვენ მკითხველებს მოეხსენებათ, ამ დღეებში საქ. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი საზღვარ-გარედ სპეციალურ (ტეხნიკურ) სწავლა-განათლების და ცოდნის მიღებისა და ამ საქმისთვის გადასდო ორი მილიონი მანეთი. წესების შემუშავება, თუ ვინ, რა დარგზე და რა ადგილას გაიგზავნენ ახალგაზრდები დამფუძნებელ კრებისაგან მიღებულ კანონის მეორე მუხლის ძალით, მინდობილი აქვს საუწყებათაშორისო კომისიას, რომელიც სახალხო განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით შესდგება და რომელსაც შეავსებენ გარდა უწყებებისა დამფუძნებელ კრების კომისიათა და სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელნი.

ამ კანონის გამო წარსულ კვირას ტფ. საშუალო სატეხნიკო სასწავლებელში შესდგა ქართველ ტეხნიკოსთა საზოგადოების სხდომა, რომელზედაც ბევრი საგულისხმიერო აზრი გამოითქვა. მოგვყავს აქ ნალაპარაკევის ის დედა-აზრები, რომელნიც შემდეგ დადგენილებად გამოიტანა კიდეც საზოგადოებამ და სახალხო განათლების სამინისტროს გადასცა ცნობისათვის და, თუ შესაძლებლად იცნობს სამინისტრო, სახელმძღვანელოდაც.

სიმცირე სპეციალისტებისა ერთის მხრივ და მეტად პრიმიტიული ვითარება ჩვენის მრეწველობისა მეორეს მხრივ—სთქვეს ტეხნიკოსთა საზოგადოებაში—გვიკარნახებს, ეხლავე შევიმუშავოთ დაწვრილებითი და ყოველ მხრივად დასაბუთებული გეგმა ჩვენში ტეხნიკურ ცოდნის გავრცელებისა და მრეწველობის განვითარებისა. ასეთი გეგმა აქვთ შემუშავებული ბულგარეთს, რუმინიას და სხვას ჩვენსავით პატარა სახელმწიფოს, რომელიც ინდუსტრიის მხრივ დაწინაურებულად არ ითვლება. ამ გეგმის მიხედვით ჩვენ საშუალება გვექნება არა მარტო წელს, ასე ვსთქვათ, სპორადიულად, არამედ სისტემატიურად, ყოველ სასწავლო წლის დასაწყისში ვგზავნოთ საზღვარ-გარედ უმაღლეს სპეციალურ სწავლის მისაღებად ახალგაზრდები. ადგილი და სპეციალობის დარგი, რა თქმა უნდა, პირადად თვითეულ ახალგაზრდის მისწრაფება-მიდრეკილებასთან შეთანხმებული. თვითონ მთავრობამ უნდა აარჩიოს, რომ ერთ დარგში სიჭარბე არ იყოს სპეციალისტებისა, ხოლო მეორე დარგში ნაკლებულობა. საზღვარგარედ წასვლის მსურველი ბევრია, თითქმის ათასამდე აღწევს ასეთ ახალგაზრდათა რიცხვი, მთავრობა კი მარტო 60 ახალგაზრდას ჰგზავნის. ასე რომ მსურველთა კათეგორიებად დანაწილება აუცილებლივ საჭიროა. ვინ ითხოვენ საზღვარ გარედ გაგზავნას? ითხოვენ რუსეთის პოლიტეხნიკუმების ბოლო კურსის სტუდენტები, რომელთაც მარტო სადიპლომო პროექტი და რამდენიმე საგანი და დარჩენიათ ჩასაბარებელი, ითხოვენ მეორე და მესამე კურსების სტუდენტები, ითხოვენ აგრეთვე პირველ კურსის სტუდენტებიც და ისეთი ახალგაზრდებიც, რომელთაც უმაღლესი სასწავლებლის კარი ჯერ არ უნახავთ, მხოლოდ წელს დაუსრულებიათ გიმნაზია ან და, თუ წინა წლებში დაუმთავრებიათ კურსი, რუსეთისკენ გზების შეკვრისა და იქაურ აწეწილ ცხოვრების გამო მოერიდნენ რუსეთში წასვლას.

ზოგიერთ ორატორის აზრით და ამ აზრმა ბოლოს კრებაზე გაიმარჯვა კიდეც--უკანასკნელ კურსის სტუდენტები ეგრედ-წოდებული დიპლომანტები უნდა პირველ რიგში გაიგზავნენ მხოლოდ არა საზღვარ გარედ ევროპაში, როგორც ამას ისინი ითხოვენ, არამედ რუსეთშივე, მაგალითად, უკრაინის ერთ-ერთ სპეციალურ სასწავლებელში: კიევს, ხარკოვს ან ეკატერინოსლავში. რუსეთში გაგზავნა მათი მიტომ არის საჭირო ამბობდნენ ტეხნიკურ საზოგადოებაში ინჟენრები—რომ საზღვარ გარედ ევროპაში მათ სწავლა ხელ ახლა მოუხდებათ დაიწყონ, ვინაიდან იქ არც ერთს საგანს არ ჩაუთვლიან და ბევრი ბევრი სასწავლებელში შესვლისას გამოცდებისაგან გაანთავისუფლონ. რუსეთში კი ისინი სულ მოკლე ხანში შესძლებენ სწავლის დასრულებას და ამგვარად მალე ჩვენც მეორე, უფრო ახალგაზრდა თაობა ინჟენრებისა ამოგვიდგება გვერდში და შეგვისუბუქებს იმ კრიზისს, რომელსაც მეტად მწვავედ განიცდის ჩვენი ნორჩი რესპუბლიკაო.

მეორე რიგში და უკვე უშუალოდ ევროპის სხვა და სხვა ქალაქებში უნდა გაიგზავნონ რუსეთის სპეციალურ სასწავლებელთა მეორე-მესამე კურსელი სტუდენტები. ამათში უპირატესობა უნდა მიეცეთ, რა თქმა უნდა, იმათ, ვინც უცხო ენა იცის: ენის შესწავლაზე დროს აღარ დაჰკარგავენ.

რაც შეეხება მესამე კათეგორიას მთხოვნელებისას—წელს ან ბოლო წლებში, რომ დაასრულეს სწავლა, ისინი შეიძლება, რაკი სტიპენდიანტთა რიცხვი სამოცია, წელს არ გაიგზავნენ; მით უფრო, რომ უკანასკნელ წლებში არა ნორმალურ მეცადინეობის გამო საკმაო ცოდნა მათემატიკურ საგნებისა, რაც სპეციალურ სასწავლებელში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, მათ არა აქვთ.

ამ გვარად ევროპაში უნდა გაიგზავნენ მეორე კათეგორიის ხალხი. მაგრამ ამათი რიცხვიც საკმაოა. მაშასადამე, არჩევანი აქაც საჭიროა. გრადაციის და დარგების უპირატესობის შესახებ კამათის დროს ბევრი საგულისხმიერო აზრი გამოითქვა. აქ სთქვეს: ჩვენი ქვეყანა მდიდარია ენერგიით, რომელიც ადამიანის ცოცხალ ენერგიის მაგიერობას თავისუფლად გასწევს, ეს არის დიდძალი მდინარეები, ჩანჩქერები და სხვა, რაც საკმაო „თეთრ ნახშირს“ იძლევა. მაშასადამე, პირველ ყოვლისა, ჩვენ გვჭირდებიან ჰიდრო-ტეხნიკოსები და ელექტრო-მექანიკოსები.

შემდეგ დიდი ნაწილი ჩვენის მიწა-წყლისა, თითქმის 44% ტყეებს უკავიათ, რომელნიც დღეს ან უსისტემოდ იჩეხება და ამით დიდი ზიანი ეძლევა ჩვენს ქვეყანას და მომავალ ინდუსტრიას ან და სრულიად უსარგებლოდ არის. ამიტომ მეორე რიგში მეტყეობის შესწავლის მსურველნი უნდა გაიგზავნენ. შემდეგ ამათ მისდევს აგრონომები, რომელთა საჭიროების მტკიცება სულ ზედმეტია: საქართველო უპირველესად სამეურნეო ქვეყანაა, აგრონომები კი ნაკლებად გვყავს. მათ შემდეგ უნდა გაიგზავნონ მელიორატორები, რადგან საქართველოში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ მხარეს, ბევრია ურწყავი და დღეს უსარგებლო, დაუმუშავებელი მიწა, რომელიც, თუ არხებით დაილარება და მოირწყვება, ნაყოფიერიც იქნება და ჩვენს მოსავალსაც, ეხლა რომ ნაკლებად მოგვდის, გაზრდის, გაადიდებს. გზებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ამ დარგის შესასწავლადაც უნდა გაიგზავნონ საზღვარ გარედ. რაც შეეხება დანარჩენ დარგის სპეციალისტებს (ამშენებელთ, ქიმიკოსებს და სხვათ) ამათშიაც საჭიროება, რა თქმა უნდა, დიდია, მაგრამ, საზოგადო კრების აზრით, გრადაცია საზღვარ გარედ გასაგზავნ ახალგაზრდებისა იმ რიგით უნდა მოჰხდეს, როგორც ეს უკვე მოხსენებული გვქონდა.

დაწვრილებით გეგმის შემუშავება საზოგადო კრებამ მიანდო გამგეობას, რომელსაც აგრეთვე დაევალა განათლების სამინისტროს წარუდგინოს თავის მოსაზრებანი

მოკავშირეთა მისიისადმი

ინგუშეთის წარმომადგენლის მიმართვა.

გაერთიანებულ მთიელთა ცენტრალური კომიტეტის წევრმა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ტფილისის კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგმა არტაგან უჟაროვმა ინახულა ტფილისში მყოფი მოკავშირეთა მისიები: ინგლისის, იტალიის, ამერიკის, საფრანგეთის, რომელთაც ინგუშეთის ხალხის სახელით ჩააბარა მემორანდუმი. მემორანდუმი სისწორით აღნიშნავს მოხალისეთა ჯარს და ინგუშეთის შორის მომხდარ შეიარაღებულ კონფლიქტის ხასიათს. ამ მემორანდუმში, სხვათა შორის, სწერია: მოხალისეთა ჯარის ულტიმატუმის დაკმაყოფილება ნიშნავდა ინგუშეთის საბოლოოთ განადგურებას და დაღუპვას. მაგრამ ასეთ სრულ მორჩილებითაც კი ინგუშეთი თავის ფიზიკურ არსებობის გარანტიას ვერ მიიღებდა. პირიქით, ინგუშეთი, რომელმაც თავისი საუკეთესო ძალები ბრძოლის ველზე დაჰკარგა და იარაღ აყრილი დარჩა, შეიქნებოდა ყაზახთა აგრესიულ ელემენტების საჯიჯგნათ, იმ ყაზახთა, რომელნიც ინგუშებისადმი შურის ძიების ცეცხლით არიან ანთებულნი სუნჟენის რაიონიდან რამოდენიმე სტანციის აყრის გამო, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ეს სტანციები—სუნჟენის, ტარსკის და აკი-იაურტის თავისი ველებითურთ ინგუშეთს ჰყოფენ ორათ: გორა და ბარ ადგილათ. ყაზახებთან მცირე კონფლიქტი, და გორის ინგუშები აღმოჩნდებიან ჩაკეტილი და დამწყვდეულნი თავის გორებში და დაემუქრებათ მათ შიმშილით სიკვდილი, რადგანაც თავისი საკუთარი პური ინგუშებს წლის განმავლობაში ყოფნით მხოლოდ ორ თვეს. ბუნებრივია, რომ როდესაც რევოლიუცია დაიწყო, ინგუშებმა ისარგებლეს შესაფერ გარემოებით, რომ გადაეწყვიტათ აგრარული საკითხი: შემოეერთებინათ ყაზახთა მიწები, რომელიც შეჭრილიყო მათ ტერიტორიაში. სხვათა შორის: ეს მიწები თავიდანვე ინგუშებს ეკუთვნოდათ, შემდეგ მათ წაართვეს და გადასცეს ყაზახობას სტრატეგიულ მოსაზრებათა გამო.

ინგუშებმა ისარგებლეს რევოლიუციით, რომ დაებრუნებიათ ის მიწები, რომელიც მათ ისტორიულათ ეკუთვნოდა და ეს აუცილებელი და სიჭირო იყო მათთვის ეკონომიური და პოლიტიკური მხრივ. მაგრამ საკითხის ასეთმა გადაწყვეტამ უკიდურესობამდე გააბრაზა ყაზახები, რომელთაც შურისძიებისადმი მისწრაფება გულში ჩაიმარხეს დროებით.

შემდეგ უჟაროვი მიუთითებს, რომ ამ შურისძიების გეგმის სისრულეში მოყვანა უკვე დაიწყო. ამას მიხვდნენ ინგუშები და ამიტომაც წინააღმდეგობას უწევენ. დასასრულ ნათქვამია: „ჩვენ, ინგუშეთის წარმომადგენლები, მივმართავთ სამართლიანობას—ჩვენ გვსურს, რომ მესამე, ნეიტრალური ძალა გამოცხადდეს მოსამართლეთ მოხალისეთა ჯარის და ინგუშეთის კონფლიქტში. დეე, მოკავშირეთა მთავრობებმა კავკასიაში თავის წარმომადგენლების სახით დაუყონებლივ გამოჰყონ ორგანო, რომელიც თავის თავზე აიღებს კომპეტენტურათ გადაწყვეტას იმ კონფლიქტისას, რომელიც მოხალისეთა ჯარს და ინგუშეთის შორის ჩამოვარდა, ისე როგორც ამას ადგილი ქონდა საქართველოსა და მოხალისეთა ჯარს შორის სოჭის ფრონტზე, საქართველო-სომხეთის და ყარაბახის ისტორიაში. ჩვენ გვწამს, რომ ცივილიზაციის და კაცთმოყვარეობის გულისთვის ინგუშეთის მტერთა სასტიკი გეგმა დაშლილი იქნება. ჩვენ აუცილებლათ ვსთვლით მოხალისეთა ჯარის მიერ სამხედრო მოქმედების დაუყონებლივ შეჩერებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ინგუშეთს მთელის სრული ამოწყვეტა.“

საშკოლო სახელმძღვანელოების შესახებ.

ეს კითხვა ერთი თავსატეხ კითხვათაგანია ჩვენ განახლებული შკოლისთვის. თუ ეს ზღუდე არ იქნა გადალახული, ისე სახალხო განათლების გაეროვნების საქმე დიდ ხანს ვერ დადგება სათანადო გზაზე. თუ არაფერს ვზოგავთ,

რომ კარგი მასწავლებელი შევქმნათ და ვიყოლიოთ, ისე უნდა ვიზრუნოთ სახელმძღვანელოების შესახებაც, ვინაიდან სათანადო მეთოდით შედგენილი სახელმძღვანელო ძალიან ხშირად თვით ცუდ მასწავლებელსაც კი დაეხმარება და გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად გადაექცევა. კარგი სახელმძღვანელო თუნდაც გამოუცდელ მასწავლებლის ხელში ერთგვარი კომპასის როლს თამაშობს,—შეიძლება მზგავსად კომპასის ისრის თამაშისა ხანდისხან მასწავლებელიც გადასცდეს სწორ მეთოდიურ გზას, მაგრამ ბოლოს მიზანს მაინც მიღწეული იქნება—კომპასის ისარი საბოლოოთ ჩრდილოეთ-სამხრეთით წერტილებზე შეჩერდება.

შარშან და შარშანის წინ ეს კითხვა მთელი თვისი სიგრძე-სიგანით წარმოდგა ჩვენი შკოლის წინაშე და ისიც იძულებული იყო შეძლებისა და გვარად პასუხი გაეცა მისთვის. საუბედუროდ მთავრობის ინიციატივა თითქმის სრულებით არ ჩანდა ამ საქმეში, ამიტომ თითონ მასწავლებლები შეუდგენ მუშაობას: ზოგი ორიგინალური სახელმძღვანელოების შედგენას შეუდგა, ხოლო დიდმა უმეტესობამ კი თარგმანს მიჰყო ხელი. მასთან ყოველივე ეს საშინელის სისწრაფით ხდებოდა, დაფიქრებისა და მოსაზრების დრო, რაც ასე იყო საჭირო ამ ფრიად ძნელი საქმის სათანადოდ წასაყვანად, თითქმის არავის არ ჰქონდა და რა გასაკვირველია, რომ ამ გარემოებას ერთგვარი უარყოფითი ბეჭედი დაესვა ამ სახელდახელო მუშაობისთვის. ამიტომ არის, რომ ბევრი სახელმძღვანელო ენის მხრივ სუსტობს, ზოგან ტერმინების და ბევრიც კიდევ მასალის მხრივ ნაკლებად ეგუება ქართულ ეროვნულ შკოლების სულსა და გულს.

დღევანდელ საყოველთაო სპეკულიაციის ხანამაც შესაფერი გავლენა იქონია სახელმძღვანელობის გამოცემის საქმეზე: ზოგიერთი გამომცემლები თუ კერძო მაღაზიები პირდაპირ საათობით ზრდიან სახელმძღვანელოებზე ფასებს და ძალიან ხშირად პირდაპირ უსინდისო ვაჭრობას ეწევიან ამ წმინდა საქმის გარშემო. დანამდვილებით შემიძლია ვსთქვა რომ თუნდაც გუშინ დაბეჭდილ წიგნს ვერ შეიძენ იმ ფასათ, რაც წიგნს აწერია, უთუოდ ორჯერ მეტს გადაგახდევინებენ. „რავქნათ, გამოსვლის შემდეგ გაძვირდა ქაღალდიო",—გეტყვიან.

უნდა ისიც ვსთქვათ, რომ ზოგიერთი ავტორებიც ვერ იქცევიან კეთილსინდისიერად: როცა იციან, რომ წიგნს გასავალი აქვს, ვაჭრულის მოსაზრებით, მეორე გამოცემას უთუოდ შეცვლიან, რაიმე ცვლილებას შეიტანენ შიგ და ამნაირად შეგირდმა პირველი გამოცემა კიდეც რომ იშოვოს სადმე იაფად, მაინც არ გამოადგება: სასწავლებელში სხვა და სხვა შეცვლილ გამოცემათა ხმარება შემაფერხებელია და მასწავლებელი იძულებულია შეგირდებს მოსთხოვოს ერთი და იმავე გამოცემის შეძენა. სახელმძღვანელოთა საჭირო შესწორებებზე აბა ვინ რა უნდა სთქვას, მაგრამ როცა ეს შეცვლა სულ ისე აუცილებელია და გავრცელების მოსაზრებით მაინც ასწორებენ, არ შეიძლება აღშფოთებაში არ მოვიდეს კაცი. ბატონებო, შეიბრალეთ ღარიბი ხალხი.

ქაღალდისა და კორექტურის მხრივ ხომ სულ წყალ-წაღებულნი ვართ და ეს არის. ამ მხრივ თავი ისახელა ივ. გომელაურის წიგნების გამომცემელმა მ. გაჩეჩილაძემ, რომელიც „ქართველ მწერლების" მეორე წიგნს პირდაპირ მჩვარზე დაბეჭდილს აწვდის საშინელ ფასებში საზოგადოებას. ღმერთმა დაგიფაროთ კორექტურის მხრივაც. მიკვირს რატომ თითონ ბ-ნი გომელაური არ მიაქცევს ყურადღებას ამ გარემოებას და არ ალაგმავს თავაშვებულ ჩარჩს.

ყველა ამ სიკეთეს ისიც უნდა დაემატოს, რომ სახელმძღვანელოები ითარგმნება სრულად შემთხვევით და უსისტემოდ: ყველა თარგმნის იმას, რაც მოეპრიანება და ეადვილება. ეჭვი არ არის, რომ ყოველივე ეს ქმნის ერთგვარ ქაოსს და არევდარევას. არეულობაა სისტემაშიც, გამოცემაშიც და ფასებშიც.

ვინ უნდა აგვაცილოს ყველივე ეს თავიდან? ეჭვი არ არის, რომ მთავრობამ. შეიძლება ვინმემ სთქვას—ყველაფერს მთავრობა ხომ ვერ გაუძღვებაო, მაგრამ ეგ არ იქნება სრული სიმართლე: პურის ბაზარს თუ კი აწესრიგებს მთავრობა, რაზე არ უნდა მოიქცეს იგი ამნაირათვე წიგნების გავრცელების საკითხში. ერთ შემთხვევაში თუ არის დასაშვები მაგარი ფასები და სხვა, რათ არ შეიძლება მეორე სფეროშიც მოხდეს ასეთივე რამე?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ კითხვებზე უთუოდ დადებითი პასუხი უნდა იქნას გაცემული და განათლების სამინისტრომ შესაფერი სიტყვა უნდა სთქვას სახელმძღვანელოთა გამოცემის საქმეში.

ვარლამ ხურძე.

დამფუძნებელი კრება

დღეს დამფუძნებელ კრების მორიგი სხდომაა დანიშნული. კრება დახურული იქნება და განიხილავს საქართველოს შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციის ძირითად კანონებს და სენატის დაბულებას.

ინგუშეთის ტრაღედია.

გაზეთ „ბარბაში" მოთავსებულია ახმედ ცალიკოვის შემდეგი წერილი:

ნამდვილი წყაროებიდან გვაცნობებს, რომ ინგუშეთში დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მოხალისეთა ჯარის ნაწილებთან.

საქმე შემდეგ ნაირად მოხდა: 20 ივნისს ორუჯ-ბაირამის მეოთხე დღეს ინგუშეთს უნდა გაეგზავნა პოლკები ფრონტზე, ამ დღისთვის სად. ნაზრანზე ჩამოაყენეს ვაგონები და დაიწყო 1 ლ ინგუშის ცხენოსან პოლკის ვაგონებში ჩასმა. ამ პოლკის ჯარის კაცებს წაყვანილი იყვნენ სოფელ ბოზარკინო, დალაქოვი და კანტიშევიდან.

სად. ნაზრანზე პოლკის ვაგონებში ჩასმის დროს მოვიდა ბარიატის პოლკი, რომელმაც გადმოსხა პოლკი ვაგონებიდან. ამ ნიადაგზე წარმოსდგა კონფლიქტი შარიატელების და 1-ლ პოლკის ოფიცრებთა შორის, რომლის შედეგი იყო პორ. დუდარ დობრიეკის და შარიატეს პოლკის მხედრის მუტალიეკის მკვლელობა და შარიატის პოლკის მიერ პოლკ. კოტიევის, ძმათა კურიევლების და პოლკოვნ. გოიგოვის და სხვათა დაპატიმრება.

მაშინ სოფელ ეკაჟევის ნასირ-კორტის და სუხორხის წინააღმდეგ გაიგზავნა ყაზახთა რაზმი ბრონევიკით და არტილერიით, ამ რაზმმა დაიარა ბოზორკინო, კანტიშოვი და დალაქოვი და შემდეგ მას გარს შემოერტყენ ინგუშების პოლკები და გაანადგურეს იგი.

დაწყებულ ბრძოლაში გამარჯვება ჯერ ინგუშების მხარეზეა, მაგრამ მოხალისეთა ჯარი სისწრაფით კრებს მთელ თავისუფალ ძალებს.

ამ ცნობიდან შეიძლება გამოვიყვანოთ დასკვნა: მთელი კონფლიქტის მიზეზი ის იყო რომ ინგუშების ერთ-ერთმა პოლკმა წინააღმდეგობა გაუწია პოლკების ფრონტზე გაგზავნას, ნამდვილად კი ამის მიზეზები უფრო ღრმა არის.

საქმე იმაში გახლდათ, რომ პოლკების ფრონტზე გაგზავნის გარდა ფრონტზე უნდა გაგზავნილიყო 2 ცხენოსანი პოლკი, (რომელიც 6 ასეულისგან შესდგებოდა და 1 ბატარეია), რომელიც ინგუშების ხარჯზე იყო შედგენილი, ინგუშებს მოსთხოვეს კიდევ ულტიმატუმის ყველა პირობის შესრულება, იმ ულტიმატუმის, რომელიც მათ იანვარში წარუდგინეს, სახელდობ სუქენის ნაწილის ყაზახთა განადგურებულ სტანციების აღდგენა, 20,000,000 მან. კონტრიბუციის გადახდა, იარაღის ჩაბარება, განადგურებულ სოფლებიდან წაღებული ქონების დაბრუნება და სხვა...

ფაქტიურათ ეს მოთხოვნილებები შემდეგს ნიშნავდა: იმ დროს, როდესაც ინგუშების ცოცხალი საუკეთესო ძალა განადგურდებოდა ფრონტზე ბოლშევიკების მიერ,—რასაც მოხალისეთა სარდლობა შეეცდებოდა და ხელს შეუწყობდა—დარჩენილი მცხოვრებლები გაძარცული, განადგურებული და უიარაღოთ დარჩენილი რკინის ბრჭყალებში იქნებოდა ჩასმული.

ინგუშების აჯანყება—ეს არის ხალხის სასოწარკვეთილების აქტი, ხალხის, რომელიც ხედავს რომ იღუპება. ვისაც ჰქონდა ინგუშების მიმართ შური, მონახეს შურის ძიების დრო და ინგუშეთის ხალხმა ეს ინსტიქტიურათ იგრძნო. ინგუშეთის წინ იდგა ორნაირი დაღუპვის პრესპექტივა, დაღუპვა რუსეთში და განადგურება მშობელ კავკასიის ცის ქვეშ და ინგუშეთის ხალხმა აირჩია, რასაკვირველია, უკანასკნელი გზა, მან ირჩია, დაიღუპოს თავის კერის დაცვის დროს, ვიდრე შორეულ რუსეთში.

ტრაღედია ინგუშეთის—მშვენიერი გამოხატულებაა ყველა კავკასიის მთიელ ხალხის მომავალ ნაციონალურ ტრაგედიისა შეიძლება ეს გახდეს მთელი კავკასიის ერების ტრაღედიათ.

მართალია, მარჯვენა მხარედან პროვოკატორები შეეცდებიან ინგუშეთის ხალხის სტიქიური ამბოხება ბოლშევიკური მოძრაობის სახელით მონათლონ, რომ ამით გაამართლონ მოკავშირეების თვალში თავისი სიმხეცენი და შეიძლება ეჭვიც არ შეგვეპაროს, რომ ამ პროვოკატორების ცდას შეეგებებიან და ხელს შეუწყობენ კომუნისტების ბანაკიდან—რევოლიუციონური ავანტიურისტები— სტიქიურ მოძრაობის გამომყენებელი ხელოსნები. მაგრამ ჩვენ უნდა განვაცხადოთ გადაწყვეტით: ინგუშეთში წარმოებული მოძრაობა არც შეიცავს კომუნისტურ ფერით შეღებილ სოციალურ კლასობრივ დრამის არც ერთ ატომს—ის ნაციონალური ტრაღედიაა.

დაღუპვის პირზე მიმდგარ ინგუშეთს და კავკასიის მთიელ ხალხებს უფლება აქვთ იმედი ჰქონდეთ, რომ ამ მძიმე მომენტში კავკასიის ქედის აქეთ მყოფი ძმები მიიღებენ ყოველივე ზომას, რათა შეაჩერონ რეაქციონურ გენერლების სასტიკი შურისძიება და იხსნან უკიდურესობაში ჩავარდნილი მოძმენი.

მილიციაში

ტფილისის სისხლის სამართლის მილიციელების მიერ ივლისის 14 ს დაჭერილია დხანიბაჩიევი, რომელსაც ბრალი ედება სისხ. სამ 1630 და 1632 მუხ. ძალით, და რომელსაც ეძებდენ მთელი ერთი წლის განმავლობაში.

—

ელექტრო ტეხნიკური და ტეხნიკური კანტორა „ენერგიის" (ტფილისში) წარმომადგენელმა 1919 წლის ივლისის 8 ს წერილით მადლობა გამოუცხადა ტფილისის სისხლის სამართლის მილიციის მსახურებს, მათი კანტორიდან 63 ათასი მანეთის გამტაცებელი ქურდის აღმოჩენაში და ფაჩულიას დახმარებისთვის.

—

ტფილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსის ფაჩულიას 1919 წლის ივლისის 14-ს ბრძანებით, წინადადება ეძლევა მის თანაშემწეთ და უფროს მილიციონერებს სისხ. სამ. წესდ. 250—255 მუხ. კანონის დასაცავათ დააჩქარონ ტუსაღების საქმის გამოძიება და დაამთავრონ იგი 24 საათის განმავლობაში.

—

ტფილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსი ფაჩულია 1919 წლის ივლისის 14-ს ბრძანებით აფრთხილებს მილიციონერებს, რომელნიც გამოცხადდებიან სამსახურში მთვრალი ან რესტორანში საქეიფოთ შევლენ ადმინისტრატიულათ სასტიკათ დაისჯებიან და სამსახურიდან დათხოვნილი იქნებიან.

სხვა და სხვა.

ბათუმი, ივლისის 16. რომანოვსკი თავის ადიუტანტით რუსეთს წავიდა. გაზეთი „ნაშ კრაი", „ბორბა"-ში გამოქვეყნებულ რომანოვსკის მოხსენებას სიჩუმით შეხვდა.

◆ რადგანაც ბათომიდან სომხეთში ამერიკიდან მოსულ ფქვილს ეზიდებიან დროებით საქართველოდან სომეხ ლტოლვილთა გადაყვანა სომხეთში შეჩერებულია.

◆ გუშინ ტფილისიდან ახალქალაქისაკენ გაგზავნეს რამოდენიმე ასი სომეხი ლტოლვილი.

◆ ამ დღეებში ქართულ კლუბში დაიწყება მოჭადრაკეთა ტურნირი.

◆ რუსმა მასწავლებლებმა სომხეთის განათლების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, რათა ისინი მიწვეულ იქმნან სომხეთის სკოლებში მასწავლებლებათ.

◆ სამრეცხაოების მომუშავეთა გაფიცვა გრძელდება. პატრონებმა უარი განაცხადეს მათი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე.

◆ წერა-კითხვის სეირნობიდან, რომელიც გაიმართა 13 ივლისს საერთო შემოსავალი 49000 მან. უდრიდა. ხარჯი 12 ათას მანეთს. გადაიდო წითელ ჯვრის სასარგებლოთ 7 ათას მანეთამდე. წმინდა შემოსავალი დარჩა 30000.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის სამმართველო იწვევს

ექიმებს

ტფილისის ქალაქის საავადმყოფოს საბებიო განყოფილების ორდინატორის თანამდებობაზე. სასანიტარო საექიმო ინსპექტორის თანამდებობის დასაჭერათ საჭიროა ქართული ენის ცოდნა. თხოვნები დაწვრილებითი კურიკულუმ ვიტეთი მიიღება ქალაქის თვითმართველობის სამედიკო სასანიტარო განყოფილებაში ივლისის 30-მდე. 1230 2—3

ტფილისის მილიციის უფროსი აცხადებს, რომ ქუთაისის სამიწათ მოქმედო ბანკის ტფილისის განყოფილებამ დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი მნაცკალა ბაიდუროვის სახელზე, რომელიც შეტანილი იყო ტფილისის ნოტარიალურ არხივში 1914 წ. თებერვლის 26-ს, № 656 რეესტრით. ზემო აღნიშნულ საბუთის მნახველი ვალდებულია წარადგინოს უკანასკნელი მილიციაში. 942 3—3

მაჰმედ იბრაგიმ გასან ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე 5.450 მ. და რევოლვერის „ვებელსკოტის" ნებართვა № 49468, გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 951 3—2

ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანცია

აცხადებს, რომ ამა წლის 8 აგვისტოს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა შეშის მოწოდებაზე 1919-1920 წლის ვადით: ქუთაისის გარნიზონისთვის 900 კუბ. საჟ. ნორმალური ჯიშისა, ოზურგეთისთვის 300 კუბ. საჟ., ფოთისათვის 500 კუბ. საჟ., სუხუმისთვის—750 საჟ. და სურამისთვის—200 კ. ს., ვაჭრობა მოხდება ადგილობრივათ სურამის ადგილობრივ ლაზარეთის კანცელარიაში, დანარჩენ პუნქტების შესახებ გარნიზონისთვის უფროსების კანცელარიებში და ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანციაში ყველა ხსენებულ პუნქტების შესახებ. საჯარო ვაჭრობა მოხდება 12 საათზე, როგორც ზეპირ შეჯიბრებით, აგრეთვე დაბეჭდილ განცხადებით. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს საწინდარი 20 პროც. მოთხოვნილ ფასიდან და პირადობის საბუთი. კონდიციების ნახვა შეიძლება ყოველ არა უქმე დღეს 8—2 საათამდის იმ კანცელარიებში, სადაც უნდა მოხდეს საჯარო ვაჭრობა. 1228 3—

ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანცია

აცხადებს, რომ სურამის ადგილობრივ ლაზარეთის ფოთის და ქუთაისის გარნიზონის შენობების ფეხსალაგების, სანაგვე ყუთების გაწმენდის და ქუთაისის სამხედრო გოსპიტლიდან ნარეცხი წყალის გამოტანის იჯარით გაცემაზე ხელშეკრულების დადების დღიდან ერთი წლის ვადით დანიშნულია საჯარო ვაჭრობა. საჯარო ვაჭრობა მოხდება 12 საათზე, 26 ივლისს, ქუთაისში, სამხედრო ბინათა დისტანციაში. სურამში, სურამის ადგილობრივ ლაზარეთის კანცელარიაში და ფოთში, გარნიზონის უფროსის კანცელარიაში. შეჯიბრება მოხდება, როგორც ზეპირათ აგრეთვე დაბეჭდილ განცხადებების საშუალებით. განცხადებასთან ერთად საჭიროა წარმოდგენილ იქნეს საწინდარი 20 პროც. წლიურ მოთხოვნილ ფასიდან და პირადობის საბუთი. კონდიციების ნახვა შეიძლება ხსენებულ კანცელარიებში არა უქმე დღეებში 8—12 საათამდის. 1228 3—2

ტამბა საქართველოს მთავრობისა.

დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე